№ 40

წელიწადი მეორე — წელიწადი მეორე

მთავრობის მოამბე — ყოველდღიური გაზეთი

ფასი 50 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 20 თებერვალი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

**მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.**

**ხელის მოწერის ფასი:** ერთი წლით—120 მ. ნახევარი წლით—60 მ., ერთი თვით 10 მ. ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ს. ი. ევლახიშვილის დირექცია.

ხუთშაბათს, თებერვლის 20-ს აბესალომ და ეთერის რეპეტიციების გამო, დადგმული იქნება

### სინათლის მეორე ნაწილი

აბესალომ და ეთერი კი გადადებულია 21. პარასკევს, თებერვლის 21, პირველად ორიგინალური ქართული ოპერა ზ. პ. ფალიაშვილისა „აბესალომ და ეთერი“. მონაწილეობენ: შულგინა, მოროზოვა, გრანელი, ზალიპსკი, ინაევი და ლორთქიფანიძე, შაბათს, თებერვლის 2-ს, ისეცკის ბენეფისი, ელეშკოს, კანშინის მონაწილეობით „ქალღვკა“. კვირას, თებერვლის 23-ს, პ. მოლჩანოვის ბენეფისი „სნეგუროჩკა“. სალონს დემიანენკოს ბენეფისი. საბანეევასა და ზალიპსკის მონაწილეობით „სევილიელი დალაქი“. 273 1—1

**სამხედრო მინისტრმა მიბრძანა მე, ოფიცერთა რაზმის ყოფილ უფროსს, კაპიტან უთნელოვს, სამშობლოს დაცვისათვის ახალციხის ფრონტზე გასაგზავნათ, ხელმეორეთ**

## შევადგინო ოფიცერთა რაზმი

შემდეგი პირობებით: თითოეულ ოფიცერს მიეცემა ერთდროული დახმარების სახით ათასი (1000) მან., უმცროსი ოფიცრის ჯამაგირი, ტანსაცმელი და ჯარისკაცის ულუფა. **იმ ოფიცრებს, რომლებიც სამშობლოს სიყვარულით და მოვალეობის შეგნებით არიან გამსჭვალულნი,** ვთხოვთ ჩაეწერონ დასახელებულ რაზმში სამხედრო სასწავლებლის კანცელარიაში (მიხეილის ქუჩა). იქვე მიიღებიან არაგასაწვევ ხნოვანობის ბრძოლისათვის გაწაფული მოხალისენიც, სახალხო გვარდიელთა უფლებებით.

ოფიცერთა რაზმის უფროსი, კაპიტანი **უთნელოვი.**

## ტფილისის უმაღლესი საინჟენერო კურსები

(ყოფილი კადეტთა კორპუსი, შესასვლელი საპიორნი ქუჩიდან, მესამე სართული).

**საქართველოს რესპუბლიკის გზათა მინისტრის ნებადართვით**

26 თებერვლიდან განსაკუთრებული კომისიის მიერ

### მოხდება გამოცდები გზათა ტეხნიკოსის თანამდებობაზე.

ვისაც სურს გამოცდილ იქნეს, 25 თებერვლამდე უნდა წარმოადგინოს კურსების კანცელარიაში თხოვნა ყველა საჭირო დოკუმენტებით განათლებისა და პრაქტიკის ცენზის შესახებ, ორი ფოტოგრაფიული სურათი და 25 მან. 234 1—1

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ნიხრი ელექტრონის ენერგიაზე, რომელიც გამგეობამ 1918 წ. ნოემბრის 23 დაამტკიცა და რომელიც დადგენილი იყო იმავე წლის ნოემბრის 1 ძალაში რჩება. ელექტრონის კერძო სადგურების პატრონებს წინადადება ეძლევათ გამგეობის მიერ გაასწორონ ანგარიში ნიხრის თანახმად. 264 1—1

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფოს

ექიმ

### ა. ლევენშტეინისა

იღებს ავადმყოფებს $10^{1}/_{2}$ 1 საათამდე და 4-იდან 7-მდე კვირა დღის გარდა. შინაგან და ქალთა ფილტვების სატკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, კუჭის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივ სფეროში.) რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილოვის ქ. სახ. № 5 ბინა № 3. ტელეფონი 12—46 25—14 154

## ოფიციალური განყოფილება

## კანონი

**საბიუჯეტო წლისა, ხარჯთაღრიცხვის შედგენისა და შეღავათიან ვადების გაუქმებისა.**

1. საბიუჯეტო და საფინანსო წლის დასაწყისად მიღებულ იქნეს პირველი ივნისი და მის დასასრულად შემდეგი წლის ოცდათერთმეტი მაისი. სახელმწიფის ბიუჯეტი შესდგება თორმეტი თვით.

2. გაუქმდეს შეღავათიანი ვადები, აღნიშნული ხარჯთაღრიცხვის საერთო წესების 36, 37 და 38 მუხლში და სახაზინო პალატის ინსტრუქციათა 368 და 369 პარაგრაფებში.

3. დაევალოს სამინისტროებს საბიუჯეტო 1919—20 წ. წ. ხარჯთაღრიცხვის პროექტები წარმოუდგინოს ფინანსთა სამინისტროს 1919 წლის თებერვლის 15-დე.

4. ფინანსთა მინისტრი ვალდებულია წარადგინოს საკანონმდებლო ორგანოს 1919-20 წლის საბიუჯეტო პროექტი აპრილის პირველისათვის.

1919 წ. იანვრის 31-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## კანონი

**რკინის გზების მუშების და მოსამსახურეების ძირითად ჯამაგირების გადიდებისა.**

1. საქართველოს რკინის გზების მუშების და მოსამსახურეების ჯამაგირები შეიცვალოს შემდეგნაირად:

ა) ძირითად ჯამაგირებს 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 და 10 კატეგორიებისას მიემატოს სამოცდა თხუთმეტი პროცენტი (75%).

ბ) ძირითად ჯამაგირებს 11 და 12 კატეგორიებისას მიემატოს სამოცდა ათი პროცენტი (70%) და

გ) ძირითად ჯამაგირებს 13 და 14 კატეგორიებისას მიემატოს სამოცდა ხუთი პროცენტი (65%).

2. ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნულ საჭიროებისათვის გადადებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან 1919 წლის 1-ლ იანვრიდან ყოველ თვიურად, ერი მილიონი ექვსას სამოცდა ექვსი ათას ექვსას ორმოცდა ექვსი მანეთი და 25 კაპ. (1.666.646 მან. 25 კ.).

1919 წ. იანვრის 31-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## კანონი

**რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლოს ქვემდებარეობის გაფართოვებისა.**

I.

1918 წ. სექტემბრის 20-ს დებულება რესპუბლიკის დროებით საგანგებო სასამართლოსი შევსებულ იქნეს შემდეგით:

1. ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შემოღებამდე დანაშაულობანი თანამდებობის პირთა და მოხელეთა და მათი თანამონაწილე კერძო პირთა დაექვემდებაროს დროებით საგანგებო სასამართლოს.

2. ამ სასამართლოს ექვემდებარება ყველა პირველ მუხლში აღნიშნული დანაშაულობანი, რომელიც ჩადენილია 1918 წ. მაისის 26 შემდეგ.

3. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა პარლამენტის მიერ.

1919 წ. იანვრის 31-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## შტატი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექციისა.**

| №№ რიგზე. | თანამდებობათა სახელწოდება. | თანამდებობათა რიცხვი. | წლიური ჯამაგირი ერთს. | წლიური ჯამაგირი ყველას. | შენიშვნა. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექტორი. | 1 | 18000 | 18000 | |
| 2 | ინსპექტორის თანაშემწე | 2 | 15000 | 30000 | |
| 3 | განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე | 2 | 12000 | 24000 | |
| 4 | საქმის მწარმოებელი | 2 | 7200 | 14400 | |
| 5 | კანცელარიის მოხელე | 2 | 4800 | 9600 | |
| 6 | მანქანით გადამწერი | 1 | 4800 | 4800 | |
| 7 | შიკრიკი | 1 | 4200 | 4200 | |
| 8 | საკანცელარიო ხარჯები | — | — | 15000 | |
| 9 | სამგზავრო ხარჯი | — | — | 30000 | |
| | სულ | 11 | — | 150000 | |

1919 წ. იანვრის 30-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## შტატი და ხარჯთაღრიცხვა მიწათ-მოქმედების სამინისტროსი.

| №№ რიგზე. | | 1918 წლისთვის. დაუმატებლად. | 1918 წლისთვის. დამატება 3 მარტის კანონით. | 1918 წლისთვის. ს უ ლ. | შტატების გათანასწორებით გამოწვეული დამატება. თვეში. | შტატების გათანასწორებით გამოწვეული დამატება. 1 ივლისიდან წლის ბოლომდე. | ს უ ლ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | განყოფილება (სახოფლო სამეურნეო განათლების) . . . . . | 100445 | 100000 | 200445 | — | — | 200445 |
| II | განყოფილება (საცდელი დაწესებულებათა) . . . . . | 407814 | 471789 | 879603 | 23130-55 | 138783 30 | 1018386 30 |
| III | განყოფილება (აგრონომიული პერსონალისა) . . . . . . | 77480 | 99015 50 | 176495 50 | 2307 | 13842 | 190337 50 |
| IV | განყოფილება (სამეურნეო დახმარება და ახალშენებისთვის) . | — | — | — | — | — | — |
| V | განყოფილება (საჩვენებელი დაწესებულებანი და მეურნეობის სხვა და სხვა დამხმარე ღონისძიებათა) . . . . . . | 84369 | 136630 | 220999 | 1075 | 6450 | 227449 |
| VI | განყოფილება (საქონლის მოვლა-მოშენების მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობისათვის) . . . . . . . . . . | 22595 | 25850 | 48445 | 681 | 4086 | 52531 |
| VII | განყოფილება საზოგადო ღონისძიებათა . . . . . . . . | 13820 | 14960 | 28780 | — | — | 28780 |
| | მოულოდნელი ხარჯები . . . . . . . . . | 10000 | 15000 | 25000 | — | — | 25000 |
| | ს უ ლ . . . . . . . . | 716523 | 863244 50 | 1579767 50 | 27193-55 | 163161 30 | 1742928 80 |
| | სოჭის საცდელი სადგური . . . . . . . . . . | — | — | — | — | — | 100000 |
| | ს უ ლ . . . . . . . . | 716523 | 863244 50 | 1579767 50 | 27193 55 | 163161 30 | 1842928 80 |

1919 წ. იანვრის 28-ს.
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ექვ. თაყაიშვილი.**
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

### არა ოფიციალური განყოფილება

# საგარეო საქმეთა მინისტრის განმარტება.

გაზეთ „ბარბა-“ს მიმდინარე თვის 11-ის ნომერში დაბეჭდილი წერილის შესახებ სათაურით—„საქართველო მოითხოვს დიდ ბრიტანეთიდან დაკმაყოფილებას“. საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ფაქტებთან დაწვრილებით გაცნობის შემდეგ, ის სცნობს ხსენებული წერილის კილო და გამოთქმანი არა სამართლიანი იყო და შეიძლებოდა მათი სხვანაირათ გაგება. საქართველოს წარმომადგენელი ბათუმში პოლკ. გედევანიშვილის მაგიერ დანიშნულ იქნება სხვა, თანახმად ამიერ-კავკასიაში ბრიტანეთის მხედრობათა სარდლის ღენ. ფორესტერ-უოკერის მოთხოვნილებისა.

გარეშე საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი.**

# შინაგან საქმეთა სამინისტროში

**ოზურგეთის ციხის უფროსის შუამდგომლობა.**

ოზურგეთის ციხის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე მიმდინარე ხარჯების დასაფარავათ ოზურგეთის საპატიმროსათვის 20 ათასი მანეთი მიეცეს.

**ქუთაისის მილიციის შესანახათ.**

ქუთაისის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ ხაზინამ იკისროს მილიციის შესანახი ფაქტიური ხარჯების ნახევარი რაც თვიურათ შეადგენს 70828 მ. 33 კ. ამასთან ერთათ გამგეობა აცნობებს მინისტრს, რომ ეს საკითხი განხილულ იქმნა ქალაქის საბჭოს მიერ, რომელმაც დაადასტურა ქალაქის გამგეობის მოხსენება.

**საგანგებო თათბირი.**

იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროების შორის თათბირი საგანგებო რაზმის მიერ ჩამორთმეულ ქონების დაყოფის შესახებ გაიმართება 22 თებერვალს საღ. 7 საათზე შინაგან საქმეთა სამინისტროში.

# სამხედრო სამინისტროში

**პასუხის გებაში მიცემა.**

სამხედრო მინისტრის ბ. გიორგაძის ბრძანებით, რომელიც ახალციხის ფრონტზე იყო წასული, გამოსარკვევათ ჯარის ახალციხიდან დახევის მიზეზებისა გადაყენებულ იქმნენ თანამდებობიდან მე-4 პოლკის კომანდირი გელოვანი, მისი თანაშემწე მაჩაბელი, კომანდირები 3, 6, 7 და 9 როტების, მეოთხე პოლკისა, სამართალში მიცემით სოფ. ჩიხელიდან დახევის გამო. მინისტრისავე ბრძანებით შეპყრობილ იქმნენ ოფიცრები მეორე დივიზიის საცხენოსნო დივიზიონისა მამულაიშვილი, პლავსკი და კანდელაკი და სამართალში მიცემულნი ბრძანების აუსრულებლობის გამო ბრძოლის ველზე.

**ჩვენი დანაკლისი ახალციხის ფრონტზე.**

ახალციხიდან დახევის დროს მოკლულ იქმნა 6 ოფიცერი, დაჭრილია—7, უკვალოთ დაიკარგა 10; ქვეითა ჯარის კაცნი მოკლულ იქმნა 52, დაჭრილია—41, უკვალოთ დაიკარგა 209. დაღუპულ ოფიცერთა შორის არიან მიქელაძე (საპიორთა ბათალიონიდან, მიქელაძე (მეოთხე პოლკიდან) და კეზელი (მეექვსე პოლკიდან).

# ინგლისის მისიაში

**ბერძენთა შუამდგომლობა.**

ბერძენთა ეროვნულ საბჭომ საქართველოში შუამდგომლობა აღძრა ინგლისის მისიის წინაშე, რათა მათ უფლება მიეცეს პურისა და საერთოთ სურსათის ჩრდილოეთით კავკასიიდან გამოტანისა სურსათი მიეცემათ დამშეულ ბერძნებთ, რომელნიც ამიერ კავკასიაში ცხოვრობენ.

**რკინის გზის აღდგენა.**

ინგლისის საკომენდანტო ცდილობს მოკლე ხანში ერევან თავრიზის შუა რკინის გზის აღდგენას. ამ გზას ისინი ჯარების გადასაზიდათ საჭიროებენ.

# საქართველოს პარლამენტი.

**სასწრაფო სხდომა.**

სამშაბათს, 17 თებერვალს ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგა საქართველოს პარლამენტის სასწრაფო სხდომა. ამ სხდომისთვის გამოწვეული იყო პროვინციაში მყოფი პარლამენტის წევრები, რომელნიც სამშაბათისთვის უკვე ტფილისში იყვნენ. განსახილველი იყო დღევანდელი პოლიტიკური მომენტის ვითარება.

კრება გაიხსნა დღის 12 ს. და 10 წ. ბ. ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარემ პარლამენტის შეკრების მიზნის განმარტვის შემდეგ სიტყვა მისცა მთავრობის თავმჯდომარეს, რომელმაც ვრცლად დაახასიათა დღევანდელი მომენტი.

**ნ. ნ. ჟორდანიას სიტყვა.**

რუსეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ, განვლო ორმა წელიწადმა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ მრავალი ცვლილება განიცადა, დიდმა ტალღებმა გადაიარეს მის თავზე, რომელიც მას დაღუპვას უქადიდენ. მაგრამ აქ მოიძებნა ისეთი შეკავშირებული და ცნობიერი ელემენტები, რომლითაც თავიდანვე აიღეს სწორი ხაზი და შეეცადენ ხალხი მშვიდობიან და უვნებელ გზაზე გაეყვანათ. ეს მიზანი შესრულებულ იქნა და დღეს, ორი წლის შემდეგ ქართველი ხალხი უკვე სდგას იმ ნიადაგზე, საიდანაც იწყება ერის ეკონომიურ პოლიტიკური განვითარება. ფაქტიურად დღეს ჩვენ გვაქვს ჩამოყალიბებული სოციალურ, პოლიტიკური კალაპოტი ჩვენი ცხოვრებისა, საჭიროა მხოლოთ მას მიეცეს იურიდიული ფორმა, იურიდიული სანქცია და ამ საქმეს შეასრულებს დამფუძნებელი კრება. ქართველი ხალხის ცხოვრება სდგება დიდი რევოლიუციის მიერ მომზადებულ და დამკვიდრებულ ნიადაგზე და ეს ნიადაგი შეურყეველია და მას ვერ შეარყევს ვერავითარი ძალა.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს რომ თუ ასე განმტკიცდა მდგომარეობა საქართველოს ცენტრებში, ისე არ ხდება საქართველოს განაპირა კუთხეებში, სხვა და სხვა ჯგუფების იმპერიალისტური ზრახვანი ვრცელდება ჩვენი განაპირა კუთხეების ადგილებზე. მათ იციან რომ ჩვენი მიზანი ამ ადგილებში ეკონომიური განვითარების და დემოკრატიული წყობილების შეტანა და განმტკიცებაა. ჩვენ მტრებს სურთ ხელი შეუშალოს ჩვენს მიზნებს ერთის მხრით და მეორეს მხრივ დასტოვონ საქართველოს კარები ღია და დაიკავონ ჩვენს ირგვლივ ყოველივე სტრატეგიული პუნქტები. ჩვენი მიზანი არაა იმპერიალისტური მიზნები, ჩვენ ამ განაპირა ადგილებში არ ვსპობთ კულტურას, ჩვენ მათ მივანიჭეთ ავტონომია, მაგრამ ეს უარესად აბილებს ჩვენს მტრებს, რომელნიც სცდილობენ ჩვენი რესპუბლიკის მთლიანობის დანგრევას. ორივ მხრივ შემოსული მტერი—დენიკინი და ოსმალეთის ემისარები ამას ლამობენ, მაგრამ ჩვენი მთავრობა სცდილობს აიცდინოს ეს საშინელება ყოველის მხრიდან, საშვიდობოს გაიყვანოს ქართველი დემოკრატია და მოახდინოს ამ ამბების სრული ლიკვიდაცია.

კერძოთ, როგორც მოგეხსენებათ სოჭის ოლქი ჩვენ დროებით გვეკავა. ჩვენ არ გვსურდა რეაქციონური მეზობლები გვყოლოდა და საქმის გამორკვევამდი გვეკავა ის ადგილი, რომ შემდეგ ყუბანის ცოტათ თუ ბევრად დემოკრატიულ მთავრობასთან შეთანხმებით გადაგვეწყვიტა ამ ოლქის საკითხი. ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა ბილკის დაცვა და ინგლისიც გვარწმუნებდა, რომ ამ მხრივ რაიმე საშიშროებას ადგილი არ ექნებოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა დენიკინი მაინც შემოიჭრა ამ ოლქში. დაიბადა ერთგვარი ეჭვი მოკავშირეთა პოლიტიკის შესახებ და როგორც მოგეხსენებათ დემოკრატიამ მოითხოვა საქმის გარკვევა. მე მაშინ განვაცხადე, რომ ეს გაუგებრობა არის, რომ აქ დენიკინის ავანტიურასთან გვაქვს საქმე, რომ აქ ინგლისი არაფერ შუაშია. ეხლა მე შემიძლიან მეტი სიმტკიცით ვსთქვა ეს, ვინაიდან ჩვენ გვაქვს საკმაო რწმუნება ინგლისის სარდლობიდან, რომ აქ ინგლისი შემცდარი დარჩა მოხალისეთაგან, რომელთაც გასტეხეს თავისი სიტყვა. მე არ მენახა ბ. უოკერი, მაგრამ ვიცოდი, რასაც იტყოდა და მართლაც მისი განმარტება ამ მხრივ ჩემთვის გასაგები და ნათელი იყო.

მეორე საქმე, რომელიც ჩვენს წინ სდგას ეს არის ბათუმ-ახალციხის ამბები. რამდენიმე დღის წინეთ იქ შესდგა მთავრობა, სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობა, რომლის მიზანია ჩამოაშოროს კავკასიას და ოსმალეთს შეუერთოს სამუსლიმანო ოლქები, შექმნას საქართველოშიც უთანხმოება, რომლის წყალობითაც შეიძლება თავისი მიზნების განხორციელება. ჩვენ ვიცით, რომ ახალციხის ამბები მათი აგენტების და აskerების წყალობით მოხდა. ასე შეთანხმებით მოქმედობენ ჩვენს წინააღმდეგ მოხალისენი და მეამბოხენი—ოსმალეთის აგენტები. მაგრამ საჭიროა მობილიზაცია ყოველი ძალებისა, რომ ეს ორი ფრონტი გავამაგროთ და მტერი მოვიკერიოთ. თუ დენიკინი არ დასცლის ჩვენს ადგილებს, ჩვენ ჩვენს ისტორიულ სტრატეგიულ ადგილებს ამ რაიონებში ძალით დავიპყრობთ და ზედ გავმაგრდებით, ვინაიდან გაგრის ჭიშკარი, ეს საქართველოს ისტორიული წერტილია, სტრატეგიული და აუცილებელი ადგილი. მიღებულია ზომები, ახალციხის ამბების აღმოსაფხვრელადაც. ამგვარად ჩვენის რწმენით შინაური სიმტკიცე და სოლიდარობა—მეზობლებთან განამტკიცებს და უზრუნველყოფს ჩვენს არსებობას.

**რ. არსენიძე** (ს. დ.) ვრცელ სიტყვაში გამოსთქვამს იმ აზრს, რომ რეაქცია ყოველმხრიდან ეხვევა ჩვენს დემოკრატიულ სახელმწიფოს და ლამობს მის დამხობას, მაგრამ დემოკრატია, რომელმაც შექმნა ეს ძალა, შესძლებს რომ გაუმკლავდეს ყოველგვარ მტერს და შეირჩინოს თავისუფლება და დამოუკიდებელი ცხოვრება.

**ს. კედია** (ნ. დ.) მოუწოდებს მთავრობას დაადგეს სახელმწიფოებრივი, აღმშენებლობის გზას და კავშირი შეკრას ისეთ სახელმწიფოსთან ამიერ-კავკასიაში, რომელიც ვერ შეურიგდება რუსეთის არსებობას ამიერ-კავკასიაში.

**გ. ვეშაპელი,** (ნ. დ.) ვეშაპელი აკრიტიკებს მთავრობის მოქმედებას და აღნიშნავს მთავრობის სისუსტეს საგარეო პოლიტიკაში. დასასრულ ორატორი მოითხოვს საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად საერთაშორისო გარანტიებს იმ სახით, რომ საქართველოს, ნაბიჯები საგარეო პოლიტიკაში მისაღები იყოს როგორც მოკავშირე კოალიციისათვის, ისე იმ სახელმწიფოსათვისაც, რომელმაც პირველად განამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლო არსებობა. *)

(გაგრძელება იქნება).

*) მთავრობის თავმჯდომარისა და შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვათა სტენოგრაფიულ ანგარიშს შემდეგ მოვათავსებთ.

რედ.

# უცხოეთში

საქართ. დეპეშ. სააგენტო.

**მოსკოვი.** 18 თებერვალს, ბერლინიდან იუწყებიან, რომ კომიტეტმა, რომელიც დანიშნულია ლიბკნეხტის მოკვლის შესახებ საქმის საწარმოებლათ, მთავრობას განუცხადა, რომ ის უარს ამბობს განაგრძოს გამოძიება, სანამ იმ ოფიცრებს და ჯარის კაცებს, რომელნიც კომიტეტს მიაჩნია დამნაშავეთ არ დაატყვევებენ და არ გადასცემენ სამოქალაქო სასამართლოს.

**ბერლინი.** თებერვლის 13. გაზ „ფოსიშეცეიტუნგი“ იუწყება კილში სპარტაკელების გამოსვლების დაწვრილებით ცნობებს. ყველა თეატრი, რესტორანი და კაფეები დახურულია. კომუნისტებმა ქალაქის თავდაცვის რაზმს იარაღი აჰყარეს. გაიგზავნა საზღვაო არტილერია, რომელმაც მთავრობის დაწესებულებები დაიჭირა. სპარტაკელებთან შეტაკება ხდება.

**ბერნი.** თებერვლის 12. ათინის სააგენტო იუწყება, რომ სტამბოლში საბერძნეთის ჯარი შევიდა დამფუძნებელ კრებაზე. ერცბერგმა განაცხადა, რომ ყოველგვარი ცდა-შეემსუბუქებია დროებითი ზავის პირობები, უნაყოფო იყო. გენერალ ფოშის თარჯიმანმა განაცხადა, რომ ვილსონი ახალ პირობებს მხარს უჭერს. №-ს არმიის შტაბი. კუნგურის მიმართულებით, ველიშინოსთან მოწინააღმდეგე დამარცხდა. პერმის მიმართულებით სოფელ ოშიცკოესთან ჩვენი შეტევა გრძელდება.

**იამბურგი.** თებერვლის 18. წითელ არმიელებმა ბრძოლით დაიჭირეს ყოფილი ფიტინკა. წამოიყვანეს 100 ტყვე. ჩვენი შეტევა გრძელდება.

**კიევი,** თებერვალი. ხელთ ვიგდეთ რადიო, სადაც პეტლიურა გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებას, რომ მოკავშირეები არ უწევენ მას დახმარებას. მზადდება მატარებელი სურსათით პეტროგრადში და მოსკოვში გასაგზავნათ, საჩუქარათ კიევის მუშებისა და გლეხებისაგან. მზადდება სურსათი ველიკოროსიაში გასაგზავნათ.

### ინგლისური პრესა.

მარშალ ფოშმა გერმანიის დელეგატებს აუწყა დროებითი ზავის გაგრძელების პირობები, რომელიც თებერვლის 17-დან შევა ძალაში: გერმანულ ჯარებს ეკრძალებათ პოზნანის პროვინციის საზღვრის გადალახვა. ფოშმა არ შეიწყნარა გერმანიის შუამდგომლობა, რომ მათ 24 საათი მისცემოდათ პასუხის წარმოსადგენად.

ვილსონმა დეპეშით სთხოვა ამერიკის კონგრესის საგარეო საქმეთა კომისიას გადაიდოს კამათი ხალხთა ლიგის შესახებ, იმ დრომდე, სანამ ის შესძლებს ლიგის ხელშეკრულების ყოველი მუხლის განმარტებას.

ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ განზრახულია ქაირსა და კალკუტას შუა გაზაფხულზე უოველკვირეული საჰაერო მიმოსვლა მოეწყოს. საჰაერო გზა მომავალში ასეთი იქნება: ლონდონი ბრიუსელი-კელნი-მოსკოვი-კასპიის ზღვა კონდაგარი-მულტანი.

მოხალისეთა ჯარი კავკასიაში ბოლშევიკებს ამარცხებს და სწრაფად წინ მიიწევს მდ. თერგის ორივე ნაპირებით კავკასისკენ.

ინგლისის გემი „კასტილია“, რომელიც ბომბეიდან ინგლისში მოდიოდა დიდი ლოდის გამო სუეცის არხში დაილუპა. სხვა ცნობები ამის შესახებ ჯერ არ მოსულა.

კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ გემი „დორგამ კასტოს“-ის მეზღვაურებმა უარი სთქვეს პოლონელ დელეგაციის ევროპაში წაყვანაზე. გემმა დიპლომაცია არ წამოიყვანა და ისე წამოვიდა.

თებერვლის 7 სტამბოლში ჩავიდა ალიბნი, რომელიც ბატიეისცემით მიიღეს. ალიბნი მეორე დღის პალესტინაში წავიდა.

მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი ბალკანეთში გინ. დისპერი გადავიდა თავის მთავარ ბანაკში, სტამბოლში.

დ-რ ტოლონდერი და რუმინიის მთავრობის მისიის წევრი კაპიტანი რადუ ბერნში ჩავიდენ. მათი ცნობით ტრანსილვანიაში ადგენილია ნორმალური ცხოვრების პირობები და უკვე შეუდგნენ მუშაობას. რუმინიაში მდგომარეობა უფრო ცუდია. მეორეს მხრით სერიოზული დაბრკოლებანია ჰუნგრეთის მთავრობის მხრით, რომელიც ლიბერალობას სჩემობს, მაგრამ ისეთივე რეაქციონურია, როგორც მისი წინაპრები. ის ყოველ საშუალებას ხმარობს აწყენინოს რუმინიას, ჩეხო-სლოვაკიის და სამხრეთ-სლოვიანთა მთავრობებს. შვეიცარიაში ცრუ ხმებს ავრცელებენ, ვითომ ტრანსილვანიაში საერთო გაფიცვებია, რუმინიის ჯარი წარმოუდგენელ მხეცობას სჩადიოდეს და დაეჭირათ სამღვდელოება. ეს ხმები ყალბია, რასაც დაამოწმებენ ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის მისიის აგენტები.

ხალხთა ლიგის დაარსების გამო ამერიკის ეკლესიებში და სინაგოგებში სიტყვები წარმოითქვა.

## შრომის ბირჟის კომიტეტი

ერთი მხრივ აუარებელი რიცხვი შრომის ბირჟაში ჩაწერილ უმუშევართა და მეორე მხრივ მუშა ხელზედ ნაკლები მოთხოვნილება გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს შრომის ბირჟას და მასთან ერთად უმუშევართაც. ამ უკანასკნელთ უკიდურესი მატერიალური მდგომარეობა თხოულობს მათ დახმარებას, რისთვისაც ქალაქის შრომის ბირჟას არავითარი სახსარი არ მოეპოება. შრომის ბირჟის პარიტეტულ კომიტეტს აქვს განზრახვა უმუშევართათვის უფასო სახაიეს და სამკითხველოს გახსნისა. ამ მიზნის განსახორციელებლად პარიტეტული კომიტეტი აწყობს „უმუშევართა დღეს“. ამ დღეს ყველა თეატრები და სინემატოგრაფები დახმარებას უწევს უმუშევართა თანხას. იმედია ქართველი საზოგადოება დიდ თანაგრძნობას გაუწევს უმუშევართ.

## პროვინციაში

### თელავის მაზრა.

ბ. გენერალ-გუბერნატორის მაღლაკელიძის ზომებმა დიდი გავლენა იქონია თელავის მაზრაში მოთარეშე ყაჩაღებზე, რომლების მოქმედება რამდენიმე ხანს სრულიად მიწყდა და მგზავრები უშიშროდ დადიოდენ, მაგრამ ამ უკანასკნელად სამწუხაროდ ისევ გამოჩნდენ ყაჩაღები და ძველებურად დაიწყეს თარეში. ყოველდღე ძარცვავენ მგზავრებს. საჭიროა მაზრის ადმინისტრაციამ და ფართო მასამ ლაგამი აუდოს ყაჩაღთა თარეშს.

## თეატრი და მუსიკა

ხუთშაბათს, თებერვლის 20-ს ქართულ ოპერის „აბესალომ და ეთერის“ მაგივრად იქნება „სინათლე“ მეორე ნაწილი, „აბესალომ და ეთერი“ კი, 21 თებერვალს.

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ფონდის გასაძლიერებლად ქ-ნ ე. ს. ბენდუქიძის დიასახლისობით კვირას, თებერვლის 23, ქართულ კლუბში გაიმართება დიდი სამხ.-სალიტერატურო საღამო შემდეგი შინაარსით: 1, სიტყვა—„საქართველო სომხეთის ტრაგედია“, იოსებ იმედაშვილი (ბრძოლის ველზე განცდილი პირადი შთაბეჭდილებანი), 2, პოეზია—გრიშაშვილი ი., ტაბიძე გალ., 3, მუსიკა—ბახუტაშვილი-შულგინისა, კალანდაძე-აგასოვის, ი. სარაჯიშვილის, ი. ინაშვილის და ვ. ლორთქიფანიძის მონაწილეობით. შეასრულებენ არაყიშვილის, ბალანჩივაძის, ჯოგნიაშვილის, ფოცხვერაშვილის, ჯაბადრის და სხ. ნაწარმოებნი. 4, იუმორისტიკა—ქართ. დრამ. მსახიობთა მონაწილეობით. 5. ქართული ბალეტი—ბალეტმეისტერ პერინის და ე. ანდრონიკაშვილის მონაწილეობით. საზანდარი—სანდროს ლოტბარობით. ბუფეტი, პტიშვო, ცეკვა და სხვა და სხვა გასართობები. საღამო გაგრძელდება ღამის 3 საათამდე. —ბილეთები იყიდება ქართულ კლუბის კასაში.

დღეს სახ. სახლ. არს. სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება, „მსხვერპლი“ და „ეჭვისა მჯირს“.

## ქრონიკა

◯ დღეს, 20 თებერვალს, საღამოს ექვს საათზე სამოსამართლო პალატის შენობაში შესდგება ქართულ იურიდიულ საზოგადოების საერთო წლიური კრება. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება ნაფიც ვექილის კვირკველიასი: „მომრიგებელ მოსამართლის კომპეტენციის გაფართოების საკითხის შესახებ. 2) სასამართლოს გაქართულების შესახებ, მოხსენება გ. შალიბაშვილისა. 3) იურიდიულ ორგანოს გამოცემის შესახებ, 4) რეფერატების მოწყობის შესახებ. 5. საბჭოს წევრების არჩევა და სხვა.

◯ 18 თებერვალს სად. 9 საათზე საინტენდანტო საწყობის დარაჯმა მოჰკლა გერ. მოისეევი, რომელსაც განზრახული ჰქონდა საწყობის გატეხა, რისთვისაც საჭირო იარაღი აღმოაჩნდა მოკლულს.

◯ 17 თებერვალს მეორე კომისარიატის უბანში ტ. მურადაშვილს უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი, ტყვია მოხვდა ზ. კანანოვს და იქვე გარდაიცვალა.

◯ 18 თებერვალს სად. 7 საათზე ვერის ხალმართზე, გაბრიელოვის ბინაზე შეიჭრენ რამდენიმე შეიარაღებული პირნი და სიკვდილის მუქარით წაიღეს 8500 მ.

### განცხადებანი

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 7-ს დამტკიცებულია, იმავე წლის ნოემბრის 18-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მილტიად კირიანის ძე გრამადიკოპულომ 3000 მან. მიჰყიდა დიმიტრი კონსტანტინეს ძე პარასკევოპულოს მიწის ნაჭერი ქ. გუდაუთში, უბ. 15, № 5, ზომით 250 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 166 მან. 65 კ. მთავარი ამონაწერი 21 მან. ღირებულების სადერბო ქაღალდზე მიცემულია.

1—1 1330

ერემია ნიკოლოზის ძე ტულუში აცხადებს, რომ ათთიაქის მოწაფის მოწმობა, რომელიც მიღებული ჰქონდა კავკასიის სამოსწავლო ოლქიდან 1914 წელს და დაკარგულია ყარსის აღების დროს, რადგან მაშინ ტულუში მსახურებდა ყარსის ათთიაქში და მოწმობა იყო ყარსის საექიმო საოლქო განყოფილებაში.

3—1 233

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელი განყოფილების მოსამართლე გ. ა. ზამოისკი ამით აცხადებს, რომ 1919 წ. თებერვლის 26, დილის 10 საათზე მის მიერ მოხდება საჯარო ვაჭრობა ივანე სიმონის ძე ნიკოლაევის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს ავტომობილს შეფასებულს 6000 მან. ვაჭრობა მოხდება ტრეტიაკოვის გარაჟში, გიორგის ტუპიკი № 1, მესამე უბანში.

1—201—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ სოხუმის ნოტარიალურ არქივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში მე-1009 №-ით მე 16 გვ. მე-29 №-ით აღნიშნულია, 1918 წ. ნოემბრის 28-ს სოხუმის ნოტარიუს ზატვორნიცკისთან შედგენილი სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც ივანე გიორგის ძე გალუგრემ საჯარო ვაჭრობაზე შეიძინა მიწის ნაჭერი, ზომით 172,80 ოთხკ. საჟ. მამული მდებარეობს ქ. სოხუმში, ჯოგოლის ქ., № 3. ფასი 508 მან. 8 კ.

1331 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 23-ს დამტკიცებულია, იმავე წლის ნოემბრის 26-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც დავით ზაქარიას ძე მკერვალიშვილმა 7000 მან. მიჰყიდა ერასტი კვიკინის ძე კემულარიას მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ფოთში, ზომით 520 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახათ მიღებულია 280 მან. მთავარი ამონაწერი 35 მან. ღირებულების სადერბო ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. დეკემბრის 23-ს.

83 1—1

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე-846,847, 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამართლოს, დადგენილებით ეძებენ სოფ. თილევს, გორის მაზ., მცხოვრებს ლევან ტრანკაძეს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. 13 და 2 ნაწ. 1454 მუხ. თანახმად. ნიშნები: 19 წლისაა, ცისფერი თვალებიანი, წაბლისფერი თმიანი. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ტრანკაძე, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება დამნაშავის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში.

189 1—1

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით, ეძებენ სოფ. მიმონცის, კოვნოს გუბ. მცხოვრებს პეტრე მათეს ძე მირცინკევიჩს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. 9, 2 და 5 ნაწ. მე-1455 მუხ. ძალით. ნიშნები: 46 წლისაა. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს მარცინკევიჩი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მარცინკევიჩის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში.

202 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. დეკემბრის 9-ს დადგენილებით დაამტკიცა შინაური ანდერძი თებრონე ხვთისავარის ასულის ლაპანაშვილისა.

201 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1919 წ. იანვრის 3-ს დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ეკატერინე იოსების ასულის სტეფანოვისა.

200 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბრის 12-ს დამტკიცებულია იმავე წლის აგვისტოს 31 შედგენილი გაყოფის აქტი, რომლითაც ავგუსტინ ეგნატეს ძე ჟურბანოვმა, ლეონიდე ადამის ძე რინკევიჩმა და მელქისედექ ბეროს ძე გუნცაძემ გაიყვეს მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ყვირილაში, ზომით 467,65 ოთხკ. საჟ. ფასი 4.000 მან. მთავარი ამონაწერი 30 მან. 50 კ. ღირებულების სადერბო ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. ოქტომბრის 12-ს.

94 1—1

სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე, ექვსი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან, იწვევს იმ პირთ, რომელთაც უფლება აქვთ განაცხადონ თავისი უფლება მარიამ ივანეს ასულ ნენაროკოვას ქონებაზე.

36 3—2

იოსებ შუშანაშვილი აცხადებს რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების და სხვა მოწმობები. მპოვნელს სთხოვენ რომ გაგზავნონ გოლოვინის პრ. ღვინ. საწყობ „ძმობაში“.

3—2 225

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტემბრის 7-ს დამტკიცებულია, იმავე წლის აგვისტოს 26-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მარიამ ალექსანდრეს ასულმა ლორთქიფანიძემ 5.000 მან. მიჰყიდა ვარდენ ივლიანეს ძე ლორთქიფანიძეს მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ქუთაისში, ზომით 140 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 200 მან. მთავარი ამონაწერი 25 მან. ღირებულების სადერბო ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. სექტემბრის 7-ს.

84 1—1

სისხ. სამ. საქ. წარმ. წესდების მე 846, 847 და 851 მუხ. ძალით სოხუმის ოლქის სასამართლოს 1918 წ. ოქტომბრის 18-ს დადგენილებით ეძებენ ბორცლავის მაზ. პ-დოლის გუბ. დროებით ქ. სოხუმში მცხოვრებს ქ. სოხუმის ყოფილ ბოქაულს მიხეილ ნიკოლოზის ძე როზენბერგს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. 1 ნაწ. 447 მუხ. თანახმად. ნიშნები: 39 წლ. შუათანა ტანის, ქერა, პენსნეს ატარებს, წვერს იპარსავს. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს როზენბერგი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება როზენბერგის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში.

185 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ივლისის 23-ს დამტკიცებულია, იმავე წლის ივნისის 12-ს შედგენილი გაყოფის აქტი, რომლითაც ლევან, ანტონ, ვასილ და ზაქარია პეტრეს ძეთ და მიხეილ, ვიქტორ და ლეონარდ ივანეს ძეთ კოკოჩევებმა გაიყვეს უძრავი ქონება ქ. ქუთაისში. ა. ლეონ პეტრეს ძე კოკოჩევს შეხვდა მიწის ნაჭერი შენობებით ზომით 266,25 ოთხკ. საჟ. ბ. ვასილ პეტრეს ძე კოკოჩევს მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 200,75 ოთხკ. საჟ. გ. ზაქარია პეტრეს ძე კოკოჩევს მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 26,50 ოთხკ. საჟ. დ. მიხეილ, ვიქტორ და ლეონარდ კოკოჩევებს მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 77 ოთხკ. საჟ. ფასი 89296 მან. სადერბო გადასახადათ მიღებულია 450 მან. მთავარი ამონაწერი მიცემულია 1918 წ. ივლისის 23-ს.

1160 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 28-ს დამტკიცებულია, იმავე წლის ოქტომბრის 17-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც პეტრის იოსების ძე ნალბანდოვმა 6000 მან. მიჰყიდა გიგო და ივანე გლახუას ძეთ ცანავებს მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ქუთაისში, ხონის ქუჩაზე. ზომით 595,15 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 240 მან. მთავარი ამონაწერი 30 მან. ღირებულების სადერბო ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. დეკემბრის 28-ს.

95 1—1

ქ. ტფილისის ექვსმე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მაგდალინა სიმონის ასულ რენკევიჩის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება რენკევიჩის ქონებაზე X ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.

23 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ სოხუმის მომრიგებელ მოსამართლის დადგენილების № 402 თანახმად დადებულია ყადაღა იადვიგა ალექსანდრეს ასულის გრიბოედოვის მამულის ნახევარზე. მამული შეიცავს სასანიტარო ნაწილს, ზომით 1670 ოთხკ. საჟ. № 26. ყადაღა აღნიშნულია ქ. სოხუმის 1918 წ. ყადაღათა კრებ. მე-43 №-ით და დადებულია ო. ფ. ზაგრასკის ვალის დასაკმაყოფილებლად სულ 1656 მან. 21 კაპ.

1240 1—1

სოხუმის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე, ექვსი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან, იწვევს იმ პირთ, რომელთაც უფლება აქვთ განაცხადონ თავისი უფლება იმ ქონებაზე, რომელიც დარჩა ეკატერინე იოსების ასულს ოსიპოვას გარდაცვალების შემდეგ.

35 3—2

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 25-ს დამტკიცებულია, იმავე წლის დეკემბრის 14-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც გაბრიელ ისრაილის ძე ჩიკვაშვილმა 11.000 მან. მიჰყიდა ისაკი ალმასხანის ძე მესხს, სამსონ გლახუას ძე ბაბუნაშვილს, კოსტა სტეფანეს ძე კობახიძეს, სერგი გრიგოლის ძე თედორაძეს და სამსონ სიმონის ძეს ჯვარშეიშვილს მიწის ნაჭერი ქ. ქუთაისში, ტფილისის ქუჩაზე, ზომით 61,20 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 440 მ. მთავარი ამონაწერი 55 მან. ღირებულების სადერბო ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. 25 დეკემბერს.

78 1—1

ფოთის ქალაქის მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ მიხეილ თედორეს ძე პრივალოვს დაეკარგა მეტრიკული მოწმობა, ტფილისის რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებლის დამთავრების მოწმობა და ფოთის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა.

219 3—3

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ სამხედრო ტყვეს ავსტრიიდან ხირიაკ პარასკევოვს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-1643 მუხ. ძალით. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ხირიაკ ხარასკევოვი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება პარასკევოვის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სასამართლოში. 191 1—1

---

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მოწერილობის თანახმად ყადაღაა დადებული კონსტანტინე სავის ძე აფანასიადის უძრავ ქონებაზე ქ. სოხუმში, ბარიატინსკის ქ. ლიტ. „დ." № 2, ზომით 285 ოთხკ. საჟ. და აღნიშნულია 1918 წ. ყადაღათა კრებულში მე-37 №-ით. იუკაპერა ბოლოზის ასულ გალუსტიანის გირავნობის მოწმობით, რომლიდანაც აფანასიადიმ ისესხა 35000 მან. 1 წლის ვადით 1918 წ. ოქტომბრის 1-დან. 1250 1—1

---

ქ. ტფილისის მეორე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე 1919 წ. თებერვლის 4-ს დადგენილების თანახმად, იწვევს 1918 წ. ოქტომბრის 16-ს გარდაცვალებულის თამარ ალექსის ასულის გელბახიანის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გელბახიანის ქონებაზე სამ. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.

170 1—1

---

ფილისის ოლქის სასამართლომ 1914 წ. 12—15 სექტემბერს დაამტკიცა შინაური ანდერძი ედიგარ გაბრიელის ძე გასიევისა.

101 1—1

---

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ნოემბრის 13-ს დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ისაკ არუთინის ძე ასატუროვისაა.

100 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. დეკემბრის 6 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ვასილ მიხეილის ძე ერემეევისა.

102 1—1

---

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ოქტომბრის 2-ს დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ფერდინანდ ნიკოლოზის ძე პაშკოვსკისა.

110 1—1

---

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ნოემბრის 15-ს დადგენილებით დაამტკიცა შინაური ანდერძი ავეტის მესროპის ძე ტარუმოვისა.

109 1—1

---

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. დეკემბრის 13-ს დადგენილებით დაამტკიცა შინაური ანდერძი ვლადისლავ ნიკოლოზის ძე ზავოდსკისა.

112 1—1

---

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ნოემბრის 6-ს დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ქეთევან სტეფანეს ასულის ჯულაბოვისა.

208 1—1

---

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 7-ს დამტკიცებულია იმავე წლის ნოემბრის 27-ს გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მურზაყან ხუსეიპის ძე ლაკერბაიამ 350 მან. მიჰყიდა ვიქტორ დავითის ძე ჯალალონიას მიწის ნაჭერი ქ. გუდაუთში მე-7 უბ. № 6., ზომით 15 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 52 მან. მთავარი ამონაწერი 24 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.

1329 1—1

---

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ სამხედრო ტყვეს ავსტრიიდან ოჰანეს ტარმუსოვს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-1643 მუხ. თანახმად. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ოჰანეს ტარმუსოვი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება ტარმუსოვის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში.

190 1—1

---

ქ. ტფილისის მეორე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე, 1919 წ. თებერვლის 4-ს დადგენილების თანახმად, იწვევს იმავე წლის იანვრის 17 გარდაცვალებულის ალექსანდრე-ისაკ იაკობის ძე ლევინის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სამ. კან. კრ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.

171 1—1

---

ნიკო გლახუას ძე ჯაფარიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა ორი კონოსამენტი რუსის საზოგადოებისა" („Россiйскаго о-ва") № 6550432—სამი ყუთი ქაღალდისა. № 6550443 ორი ყუთი ქაღალდისა, რომლებიც უნდა ჩაჩთვალოს გაუქმებულად. 3—2 230

---

ილია დიმიტრის ძე კაკაბაძე აცხადებს, რომ მან 17 თებერვალს ერევნის მოედანზე დაჰკარგა უვადო პასპორტი. მპოვნელს უმორჩილესად თხოვენ მიუტანოს ის გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციაში კ. კაკაბაძეს, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს.

---

ყაზარ ხიტარას ძე ხიტაროვი აცხადებს რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 2469 მოცემული თელავის სამაზრო მართველობის მიერ და ჯარისკაცობის მოწმობა № 23, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

3—2 226

---

გორის სამაზრო კომისარიატი აცხადებს, რომ ბაგრატ ივანეს ძე ფარსადანოვმა დაჰკარგა ასიგნოვკის ტალონი № 110614, 2534 მან. 75 კ., მიღებული 1918 წ. ოქტომბერში სამხედრო რკინის გზის სამმართველოდან. ზემო აღნიშნული ტალონი გაუქმებულად ითვლება. მპოვნელი ვალდებულია წარმოადგინოს ის გორის სამაზრო კომისარიატში. 3—2 1332

---

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ტარიელ გრიგოლის ძე კუჭუხიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავის უფლება კუჭუხიძის ქონებაზე სამ. კან. მეათე ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.

---

სიმონ ბალდასარის ძე ბალდასაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 748 მიღებული 1918 წ. ივლისის 4-ს სპარსეთის საკონსულოდან. პასპორტი გაუქმებულად ითვლება. 220 3—3

---

ფოთის მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ იასონ ანტონის ძე შავდიას დაეკარგა მოწმობა № 539. მიღებული ფოთის ექვსკლასიან სასწავლებლიდან 3 ივნისში 1910 წ. 234 3—3

---

ფოთის მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ აქვსენტი თეიმურაზის ძე ჩხეტიას დაეკარგა 1628 მანეთის კვიტანცია, მიღებული ქუთაისის მიხეილის ბანკიდან. 231 3—3

---

გაბათილებულად ირიცხება დაკარგული პასპორტი მოცემული ფუშეთის სამაზრო კომისარიატისაგან ალექსანდრე პეტრეს ძე ცაგარელის სახელობაზე. 3—3 215

---

შორაპნის მაზ. კომისარიატი აცხადებს, რომ კომისარიატის იასაულის მიერ დაკარგულია სათადარიგო ბილეთი პოდპორუჩიკ ნესტორ მიხეილის ძე ჭუმბურიძის სახელზე. კომისარიატი სთხოვს მპოვნელს აღნიშნული ბილეთი წარმოადგინოს კომისარიატში.

186 3—3

---

ფოთის მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ დაკარგულია მისალები კონოსამენტი № 51, 23 ყუთი მინერალურ წყლისა, რომელიც გაუქმებულათ ითვლება. 3—3 233

---

ფოთის მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ დაკარგულია კონოსამენტი გემის საზოგადოებისა ძმათა რუსაისა „ოდესა" № 14 ოდესიდან, გაგზავნილ ათი ყუთი ლილისა, რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულათ.

3—3 232

---

ფოთის ქალაქის მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ ვლადიმერ ივანეს ძე ფაჩუაშვილს დაეკარგა წლიური პასპორტი მიცემული ძველი სენაკის საზოგადოების კომისრის მიერ ივნისში ამ წელში. პასპორტი გაუქმებულად ითვლება.

3—4 230

---

ტფილისის მაზრის

## ერობის გამგეობა

იწვევს მსურველთ საერთო ექიმების თანამდებობაზე. პირობების შეტყობა და განცხადების შემოტანა—ტფილისის მაზრის ერობაში შოთა რუსთაველის ქ., № 6 (გოლოვინის პრ.). გამგეობა 2—2

219.

---

## ექიმი ი. კ. აზაკელია

**შინაგანი ავადმყოფობა.**

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-ჰლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიის... ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.

---

## მატარებლების მიმოსვლა 11 თებერვლიდან

**მატარებლები ტფილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღამ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან —ღამის 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან—ღამის 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამის 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მან.

. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან საღამოს 6 საათ.
სამტრედიიდან—საღ. 8 საათ. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე**
საღამოს — 10 ს. 30 წ.
ქუთაისში მივა დილის — 7 ს. 21 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მან.

№ 19 **სამგზავრო ბორჯომამდე** დღის 3 ს. 30 წ.
გორიდან საღამოს 6 საათ. 30 წ.
ბორჯომში მივა საღამოს 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **ბაქოში** საფოსტო ღამის 11 ს. 10 წ.

მ. № 8 სამგზავრო განჯამდე დღის 3 ს. 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო ყოველ დღე საღამოს 9 ს. ათზე ბაქომდე. პლაცკარტის ფასი ბაქომდე I კლ. 60 მ. II კ. 40 მ. III კ. 20 მ.

**ყარსისკენ—ერევანში:**

მ. № 4 საფოსტო დღის 1 ს. 40 წ.

**ტფილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან ტფილისში.**

მ. № 2 სასწრაფო დილის 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღამ. 11 საათ.

მ. № 4 საფოსტო საღამოს 8 საათზე. ფოთიდან გამოვა დილის 7 ს. 40 წ.

№ 12 ქუთაისიდან დილის 8 ს. 15 წ.
ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 ს. 33 წ.

№ 20 **ბორჯომიდან** დილის 7 ს. 20 წ.
ბორჯომიდან გამოვა ღამით 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
№ 5 სასწრაფო დილის 7 საათზე.
№ 7 სამგზავრო განჯიდან დილის 8 ს. 30 წ.
№ 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი I კლ.—60 მ., II კლ. 40 მ. III კ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან.**

მ. № 3 საფოსტო დილის 11 ს. 30 წ.

ამათ გარდა კვირა-უქმე დღეებში **ტფილისსა და მცხეთის შუა** იქნება შემდეგი მატარებლების მიმოსვლა:

მ. № 61 **ტფილისიდან** დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 — — დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

№ 62 დილის 11 ს. 10 წ.
№ 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

---

## თამბაქოს ქარხნის „მირ"-ის

## აქციონერთა საზოგადოების გამგეობა

სთხოვს ბ. აქციონერებს დაესწრონ ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზე, რომელიც დანიშნულია კვირას, მარტის 16, დილის 11 საათზე ქარხნის კანტორის ბინაზე (ვარდის ფერი მოედანი).

კ რ ე ბ ი ს ს ა გ ა ნ ი:

1. 1918 საოპერაციო წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება და მოგების განაწილება.
2. 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
3. ერთი დირექტორის და ერთი კანდიდატის არჩევა.
4. სარევიზიო კომისიისთვის სამი წევრის არჩევა.
5. საზოგადოების წესდების მე-21 § შეცვლა, ე. ი. დირექტორების რიცხვის გადიდება სამიდან ოთხამდე და მეოთხე დირექტორის არჩევა.

აქციები ან მათი მაგიერი მოწმობები მიიღება კონტორაში ყოველ დღე დილის ... საათ. დღის 2 საათამდე გარდა კვირა უქმეებისა და ასეთების მიღების ვადა, წესდების 56 § თანახმად თავდება შაბათს მარტის 1-ს, დღის 2 საათზე. 262 1—1

---

## ქართველ მებრძოლთ

### ქართველთა ლეგიონი იწვევს მოხალისეებს

ახალციხეში მოღალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად!

## მამულიშვილნო!

## ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა.

## მოიყარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ.

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა, მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა.

ლეგიონის სარდალი **ლეო კერესელიძე.**

---

## სასოფლო მეურნეობის

### წლინახევრიანი საღამოგითი კურსები

**დროებით გადადებულია მობილიზაციის გამო.**

კურსების გახსნის დღე გამოცხადებული იქნება.

257 3—2 კურსების დირექტორის მაგიერ ...